განმარტებითი ბარათი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის 25 ივლისის N 21/3814 წერილის შესაბამისად დაზუსტებელი და დამატებით წარმოსადგენი ინფორმაციის ჩამონათვალი :

1. **სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იქნეს აღწერა და სიტუაციური რუკა, სადაც დატანილი იქნება წყალაღების წერტილი და საპროექტო ხაზობრივი ნაგებობის დერეფანი;** - დაემატა სკრინინგის განცხადება სიტუაციური რუკა, რომელზეც დატანილია მითითებული ობიექტები.

2. **„ტექნოლოგიური პროცესის აღწერის“ თავში მითითებულია, რომ მდინარიდან წყლის ამოღება მოხდება 20 სმ დიამეტრის და 10 მ სიგრძის პოლიეთილენის მილით, რომლის საშუალებითაც წყალი ჯერ მიეწოდება საპროექტო ტერიტორიაზე ხელოვნურად მოწყობილ ბეტონის ჭას, შემდეგ გადაინაცვლებს ფერტიგაციის რეზერვუარში, ხოლო შემდგომ წყალი მიეწოდება გამანაწილებელ მილსადენს. ამასთან, „განმარტებით ბარათში“ აღნიშნულია, რომ მილსადენის სიგრძე მდინარიდან ფერტიგაციის რეზერვუარამდე შეადგენს 40 მ-ს. შესაბამისად, დასაზუსტებელია წყალაღების წერტილიდან ხელოვნურად მოსაწყობ ჭამდე და ჭიდან ფერტიგაციის რეზერვუარამდე გათვალისწინებული მილების სიგრძე. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში (გვ. 4) მითითებულია, რომ გამანაწილებელი მილსადენიდან წყალი 12-25 მმ დიამეტრის მქონე სარწყავ მილსადენებში ნაწილდება. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს მილსადენების დიამეტრი;**
- სკრინინგის განცხადებას დაემატა მოთხოვნილი ინფორმაცია. კერძოდ, წყალაღების წერტილიდან ხელოვნურად მოსაწყობ ჭამდე მილის სიგრძეა 10 მ და ჭიდან ფერტიგაციის რეზერვუარამდე გათვალისწინებული მილების სიგრძე შეადგენს 30მ-ს. ასევე დაზუსტდა მილსადენის დიამეტრი, კერძოს მაგიტრალური მილსადენის დიამეტრი შეადგენს 25მმ და ასეთი მილების მთლიანი სიგრძეა 1000მ, ხოლო რიგთაშორისი სარწყავი მილების დიამეტრია 12მმ, ხოლო მათი საერთო სიგრძეა 1500.

3. **სკრინინგის განცხადებაში წყლის მოცულობის საზომ ერთეულად მოცემულია „მ³ /ტ“. აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს დაკონკრეტებას-**
1მ³ წყალი შეადგენს 1 ტ. „მ/ტ“ ჩანაწერში იგულსხმებოდა 1მ³/(ან) ტ. სკრინინგის დოკუმენტში დაკორექტირდა.

3. **დაზუსტებას საჭიროებს სამელიორაციო სისტემისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობის პროცესში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების შესახებ ინფორმაცია;**
აღნიშნული შენიშვნის შესაბამისად დაემატა სკრინინგის განცხადებას სამშენებლო სამუშაოების შესახებ ინფორმაცია.

4. **სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ „საქმიანობის პროცესში არ არის მოსალოდნელი საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნა, შესაბამისად გამოყენებული წყლების (ჩამდინარე წყლების) ჩაშვება წყლის ობიექტებში არ იგეგმება“. აღნიშნული ჩანაწერი ბუნდოვანია და საჭიროებს განმარტებას;**

შენიშვნა: დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში იგეგმება მდინარიდან მხოლოდ წყლის ამოღება. საქმიანობის განხორციელებისას წყლების მდინარეში ჩაშვება არ იგეგმება.

5. **„დაგეგმილი საქმიანობის ფაუნისტური დახასიათების“ თავში აღნიშნულია, რომ ტერიტორიაზე წარმოდგენილია ერთეული ბუჩქოვანი მცენარეები. დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ბუჩქოვანი მცენარეების მოჭრის საკითხი.**

შენიშვნა: ბუჩქოვანი მცენარეები განთავსებულია მიწის ნაკვეთის საზღვარზე და ცოცხალ ღობეს ქმნის. დაგეგმილი საქმიანობისას მათი მოჭრა არ იგეგმება. აღნიშნული ინფორმაცია დაემატა სკრინინგის განცხადებას.